პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 14 ნოემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი მეომარი

259 (957)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განმანათლებლური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კოპ. სტრ.

## მტკიცედ მოკიდე ხელი წერა-კითხვის შესწავლას.

ახალწვეულთა შორის არიან ისეთები, რომლებმაც არ იცი ან წერა-კითხვა. უცოდინარებს ამ თავითვე გამოყოფენ ცალკე ჯგუფებში და დაიწყებენ მათთან მეცადინეობას.

წერა-კითხვის უცოდინარმა წითელ არმიელმა თავის მხრივ უნდა ეცადოს, რათა რაც შეიძლება ადრე ისწავლოს წერა-კითხვა.

უამისოთ ის ვერ იქნება მუშურ-გლეხური ხელისუფლების ღირსეული დამცველი, უამისოთ ის ვერ დ ხელოვნდება სამხედრო საქმეში, ვერ იქნება პოლიტიკურად მებრძოლი. წითელი არმია მით არის ძლიერი, რომ თითეული მის მებრძოლს კარგად აქვს შეგნებული წითელი ჯარის მიზნები და დანიშნულება.

ამიტომაც რამდენათ მაღალია ეს შეგნება, იმდენათ ძლიერია წითელი არმიაც. ასე არ იყო მეფის და ბურჟუაზიის ბატონობის დროს.

ძველი ჯარის სიძლიერე იყო აშენებული ჯარის კაცების შეუგნებლობასა და უვიცობაზე.

კაპიტალისტებს და მემამულეებს სურდათ ყოლოდათ ყურმოჭრილი მონა, რომელიც რაც უფრო უვიცი და უკულტურო იქნებოდა, მით უფრო კარგად ემსახურებოდა მათ მიზანს.

ეხლა კი ეს დრო ჩაბარდა წარსულს.

დღეს თვით მუშები და გლეხები უდგანან სათავეში ქვეყანას.

მათი მიზანია დაამყარონ სოციალიზმი, ე. ი. ისეთი საზოგადოებრივი წეწყობილება, სადაც არ იქნებიან მყვლეფელები და გაყვლეფილები, სადაც ყველა მშრომელი იქნება.

სოციალისტურ აღმშენებლობაში ყველა მშრომელმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. ამისათვის კი საჭიროა ცოდნა, განათლება. უვიცი კაცი ვერაფერს ვერ შექმნის. ამიტომაც არის რომ საბჭოთა ხელისუფლება ებრძვის წერა-კითხვის უცოდინარობას, უკულტურობას და სიბნელეს.

ამასვე ებრძვის წითელი არმიაც. წითელი ყაზარმა თავის კედლებში ზრდის არა მარტო საბჭოთა ქვეყნის შეუდრეკელ მებრძოლს, გამოცდილ მეომარს, არამედ ახალი ცხოვრების შეგნებულ და აქტიურ აღმშენებელსაც.

პოლიტსაათი, კლუბი, ლენკუთხე, სამკითხველო, წრეები და სხვა ყოველივე ეს ემსახურება წითელ არმიელის გათვითცნობიერებას და განვითარებას. ახალგაზრდა წითელ არმიელიც თავის მხრივ მოვალეა ყველაფერი ეს გამოიყენოს და კარგად მომზადებული წავიდეს წითელ არმიიდან როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ კულტურულ დარგში. ამისათვის მან კარგად უნდა შეისწავლოს წერა-კითხვა და მუდამ უნდა იზრუნოს თვითგანვითარებაზე.

რაც უფრო ადრე ისწავლის წერა-კითხვას, მით უფრო კარგად მოემზადება ის სამხედრო საქმეში და განვითარდება პოლიტიკურად.

ახალწვეულო, მალე მოუღე ბოლო წერა-კითხვის უცოდინარობას!

## საბჭოთა კავშირი და საწარმოო ძალთა განაწილება.

(„იზვესტიას“ წერილი)

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მრეწველობის განაწილება მეტნაწილად ატარებს რუსეთის ძველი ისტორიის, ძველი ეკონომიური ურთიერთობის დაღს. დღემდის ის თავმოყრილია ოთხ ძირითად ოლქში: ცენტრალურ-სამრეწველო რაიონი, მომეტებულად მანუფაქტურული; ჩრდილოეთ-დასავლეთი ოლქი, უმთავრესად ლენინგრადის გუბერნია, ურალი და, ბოლოს, დონის ბასეინი, რომელიც მჭიდროთაა დაკავშირებული კრივოროგესთან. ჩაისახა რა ისტორიულ მიზეზების გამო ამ ადგილებში და გადაიქცა რა პოლიტიკურ ძალად, მრეწველობა ჰპოულობდა საკმაო საშუალებას შეენარჩუნებია ბატონობა და თავიდან აეშორებია კონკურენცია (ქიშპობა).

ის (ხსენებულ ოლქების მრეწველობა) განსაკუთრებული შიშით სცდილობდა ჩაეხშო მრეწველობის წარმოშობა ისეთ ოლქებში, სადაც უფრო გასაქანი ჰქონდა მრეწველობას ადგილობრივ ბუნებრივ პირობების გამო.

პროლეტარულ რევოლიუციამ ბოლო მოუღო ყოველ გვარ „დიდმპყრობელურ“ ზრახვებს. უკრაინისა და რუსეთის პროლეტარიატს კარგად ესმის, რომ საბჭოთა კავშირის მიაღწევს დიდ სიძლიერეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ ყველა საკავშირო და ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში შეიქმნება პროლეტარიატის მსხვილ მრეწველობის სხვილი ბირთვი, რომელიც ჩაითრევს სოციალისტურ აღმშენებლობაში ეროვნებათა მასების უმეტესობას, რომლებიც დღემდის ისტორიულ მოძრაობის გარეთ იდგენ. ადგილობრივი მსხვილ-მრეწველობის პროლეტარიატი ჩაითრევს ამ მასებს აღმშენებლობის საქმეში და უხელმძღვანელებს მათ. მხოლოდ მაშინ მიაღწევს საბჭოთა კავშირი თავის ყველა ნაწილებში შეუდრეკ სიმტკიცესა და სიძლიერეს.

მემამულურ—კაპიტალისტურ რუსეთის განაპირა ქვეყნების პოლიტიკის საწინააღმდეგოდ მუშათა კლასი ყოველგვარ ღონისძიებას იხმარს, რათა ეკონომიურად გამოაცოცხლოს ყოფილი „განაპირა ქვეყნები“—ციმბირი, შუა-აზია, ამიერკავკასია, რუსეთის ჩრდილოეთი და ბელორუსია.

მშენებელი — პროლეტარიატი წინასწარ გადასწყვეტს—სად იქნება მიზანშეწონილი აღმართოს მადაროები, ფაბრიკები, ქარხნები, სად უნდა მიმართოს ძუშა ძალა და საერთოდ—როგორ მოახდინოს მთელ კავშირში საწარმოო ძალთა განაწილება. ის სავსებით გაანადებს კავშირის ახალ ეკონომიკაში ყველაფერს, რასაც კი აძლევს მას პოლიტიკური წყობილება. ის პირველად ჩაუყრის მტკიცე საძირკველს ამ პოლიტიკურ წყობილებას. ის უკანასკნელ ლოდს დაადებს ძველ „დიდმპყრობლურ რუსეთის“ სამარეს.

# ახალი რადიო-ამბები

## სამოქალაქო ომი ჩინეთში

### მდგომარეობა ფრონტებზე რთულდება.

### მუკდენის ჯარები უკან იხევენ.

პეკინის რაიონებში მდგომარეობა თანდათან რთულდება. მუკდენის ჯარებმა დატოვეს ტუნ-ჩჟოუ (პეკინიდან აღმოსავლეთით). ფინ-იუი-სიანის ჯარებმა ააგეს მოსაგერიებელი სიმაგრე პეკინიდან რამოდენიმე ვერსის მანძილზე.

— მუკდენის ჯარები განაგრძობენ უკან დახევას, მაგრამ სცდილობენ ხან ჩუნ-ლინჩენის ხაზის დაცვას, რომელიც უჭირავს უ-პეი-ფუს.

ჩეილი ხანანის საზღვარზე თავს იყრიან მეორე სახალხო არმიის ჯარები.

## ფინ-იუი-სიანის თანაგრძნობა ფრუნზეს გარდაცვალების გამო.

ჩინეთის დიპლომატიურმა მისიამ მოსკოვში მიიღო გენერალ ფინ-იუი-სიანიდან დეპეშა, რომელშიაც ის სთხოვს გადასცეს საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარს თანაგრძნობა ფრუნზეს გარდაცვალების გამო.

## ლორდ გრეი საბჭოთა კავშირის განცალკევების შესახებ.

ინგლისის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრმა (ლოიდ-ჯორჯის მთავრობის დროს) ლორდ გრეიმ, შეეხო რა ლოკარნოს ხელშეკრულებას, განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი ერთად ერთი მსხვილი სახელმწიფოა ევროპაში, რომელიც იმყოფება ლოკარნოში შექმნილ დიპლომატიურ გაერთიანების გარეშე.

გრეიმ გამოსთქვა იმედი, რომ „რუსეთი მიხვდება, რომ მისი განცალკევება მისავე შეცდომების მიზეზია“ რუსეთი განცალკევებული დარჩა სხვა სახელმწიფოებიდან ეს იმიტომ, რომ ასე ისურვა მან.

## პოლონეთი სახელმწიფო გადატრიალების წინ.

### მთავრობის მომხრეები თავს უყრიან ვარშავაში საიმედო ჯარებს.

პოლონეთიდან მიღებულ ცნობებით მთავრობის მოწინააღმდეგე პილსუდსკის მომხრეები ამზადებენ სახელმწიფო გადატრიალებას. პილსუდსკის მხარს უჭერს საშუალო გლეხობის პარტიის პოლონეთის მენშევიკები და სამხედრო ორგანიზაციის ნაწილი.



პილსუცკი.

შეთქმულები აპირობენ სეიმისა და მთავრობის გადაყენებას და პილსუდსკის არჩევას მმართველად.

მემარჯვენეები სამხედრო მინისტრ სიკორსკის დახმარებით თავს უყრიან ვარშავაში (პოლონეთის სატახტო ქალაქია) საიმედო ჯარებს.

## როგორ შეხვდა პოლონელები ჩეხო-სლოვაკიის დელეგაციას.

### წითელი ფლაგები რომ ვერ აღმოაჩინეს, დელეგაციას მოუნდომეს წითელ ცხვირსახოცებისა და ყელსახვევების ჩამორთმევა.

საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებული ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია გაჩხრეკილ იქნა პოლონეთის ტერიტორიაზე პოლიციელების მიერ.

როცა მატარებელი გადავიდა პოლონეთის საზღვარზე მატარებელში გაცემულ იქნა განკარგულება—„არ გავიდენ გარედ და ფანჯრებში არ გაიხედონ“ მაგრამ დელეგატები მაინც ესალმებოდენ საბჭოთა ტერიტორიიდან გამცილებელ პირებს.

პოლიციამ დელეგაციას მოსთხოვა წითელი ფლაგები. დელეგატებმა აუხსნეს, რომ მათ წითელი ფლაგები არ აქვთ, მაგრამ აქვთ წითელი ცხვირსახოცები და ყელსახვევები. პოლიციელები მოითხოვდენ, რომ რაც კი წითელი ფერის ჰქონდა დელეგაციას, ყველაფერი გადაეცათ, მაგრამ ვერაფერს გახდენ. ამის შემდეგ პოლიციელები შეუდგენ ჩემოდნებისა და კალათების ჩხრეკას, მაგრამ ჩხრეკა უშედეგოდ დამთავრდა.

## მკვლელობა პოლონეთის ციხეში.

ლუცკის ციხეში (პოლონეთში) ამ ჟამად გაფიცულია შიმშილობით 147 პოლიტიკური პატიმარი. ციხის მოხელეებმა მოჰკლეს პატიმარი ჩავალინსკი. ამის შესახებ კომუნისტებმა შეიტანეს პოლონეთის მთავრობაში შეკითხვა, რომელშიაც აღნიშნულია პოლიტპატიმართა სასტიკი წამება და ცემა მოხელეების მხრივ. ჩვალინსკის მოკვლა ციხის დარაჯთა მიერ.

ციხის ადმინისტრაციამ არ დაანება ჩვალინსკის ოჯახს მოკლულის გვამი.

პოლიტიკურ პატიმრების მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნა მხოლოდ 5 დღის შიმშილობის შემდეგ.

## ამხ. რიკოვის წერილი ინგლისის საპარლამენტო დელეგაციისადმი.

ინგლისის გაზეთებმა გამოაქვეყნეს რიკოვის წერილი ინგლის—საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.

წერილი მიმართულია საბჭოთა კავშირში ნამყოფ ინგლისის საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარის ურლხედისადმი.

მუშათა პარტიის გაზეთი „დეილი ჰერალდი" სწერს:

„თუ რომ ინგლისის მთავრობა ყურადღებას არ მიაქცევს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის განცხადებას, იმ შემთხვევაში გაძლიერდება ეჭვი, რომ ინგლისის მთავრობა ლოკარნოს ხელშეკრულებას უყურებს ისე, როგორც ბრძოლის იარაღს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

## კლაინსი ერთა ლიგის შესახებ.

მუშათა პარტიის წევრმა კლინსმა განაცხადა, რომ გერმანიის ერთა ლიგაში შესვლა მოასწავებს იმას, რომ ამერიკას აღარ შეეძლება ლიგის გარეშე დარჩენა. მეტად მნიშვნელოვანი იქნება აგრეთვე რუსეთიც რომ შევიდოდეს ერთა ლიგაში.

## მანიფესტაცია იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ.

11 ნოემბერს, დროებითი ზავის წლის თავის დღესასწაულზე საფრანგეთში, პარიზის განაპირა ადგილებში გაიმართა მანიფესტაცია იმპერიალისტურ ომების წინააღმდეგ.

მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღო 25.000 მშრომელმა.

## მცირე ანტანტის კონფერენცია.

ანტანტის სახელმწიფოების კონფერენცია გაიხსნება პრაგაში ნოემბრის ბოლო რიცხვებში.

კონფერენციის დღის წესრიგშია: ლოკარნოს ხელშეკრულების გარჩევა, საბჭოთა კავშირის ცნობა და სხვა საკითხები.

---

## შეთქმულება ესპანეთის მთავრობის წინააღმდეგ.

ესპანეთიდან მიღებულ ცნობით იქ აღმოაჩინეს შეთქმულება ესპანეთის მთავრობის წინააღმდეგ.

პოლიციის ცნობით შეთქმულებაში წილი უდევთ არმიის რამოდენიმე უმაღლეს თანამდებობის პირს.

## უნგრეთის თეთრი ტერორის წინააღმდეგ.

ნიუ-იორკის (ამერიკაში) რემედასის თაოსნობით გაიმართა დიდი საპროტესტო დემონსტრაცია უნგრეთის თეთრი ტერორის წინააღმდეგ. ამერიკის პოლიციამ დააპატიმრა რამოდენიმე დემონსტრანტი.

# საბჭოთა კავშირში.

## ფასების დაწევის კამპანია.

შინავაჭრობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ადგილების ყველა ორგანოებს გააძლიერონ ფასების დაწევის კამპანია და გააფართოვონ მუშაობა ბაზრის მომარაგების საქმეში სამრეწველო საქონელით. დაწესებულ ფასების დამრღვევნი პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემული. კამპანიას უნდა მიეცეს ფართე საზოგადოებრივი ხასიათი და ჩაბმულ უნდა იქნას შიგ საბჭოთა პარტიული აპარატი.

## ინგლისელი კომკავშირელები ლენინგრადში.

გემ „არკოსით" ლენინგრადში ჩამოვიდა სამი ინგლისელი კომკავშირელი, რომლებიც ეხლა შევიდენ სამსახურში გემზე.

მათ შორის ერთი შვილია კომინტერნის აღმასკომის წევრის, ინგლისელ კომუნისტ სტიუარტის.

## პირველი სასოფლო სამეურნეო სკოლა საჩეჩნეთში.

ასლანბეკოვის სოფელში გაიხსნა პირველი საჩეჩნეთში სასოფლო სამეურნეო სკოლა. გახსნას დაესწრო სოფლის მთელი მოსახლეობა და დელეგატები ახლობელ სოფლებიდან.

## საქონელზე ფასების დაწევა ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებში.

ჩრდილოეთ კავკასიის სხვა და სხვა ქალაქებიდან იტყობინებიან, რომ ძერჟინსკის ბრძანებამ გავლენა მოახდინა ფასების დაწევაზე. ოლქებში სდგება კომისიები, რომელმაც უნდა შეამოწმოს ცალკეული ფასები ქალაქებში.

---

# აფხაზეთი.

## დასასვენებელი სახლი გაგრაში.

თავად—ოლდენბურგის ყოფილი სასახლე გაგრაში გადაეცა ადგილობრივ საკურორტო მმართველობას დასასვენებელი სახლის მოსაწყობად.

# სამხედრო საქმე.

## წითელ არმიელო, კარგად მოუარე იარაღს.

**„მანახე შენი შაშხანა და გეტყვი როგორი მსროლელი ხარ".**

იარაღი მხოლოდ მაშინ იმუშავებს ბრძოლაში კარგად და არ გიმტყუნებს, როცა ის კარგად მოვლილია. რომ წახდენისგან დავიცვათ ის, მიტომ უნდა ვსწმინდოთ და ფრთხილად მოვეპყრათ. როგორც ყოველი მანქანა, ისე ყოველი იარაღი მოითხოვს ყურადღებით მოპყრობას. თუ არ მიაქციე ყურადღება, არ მოუარე, არ გასწმინდე თავის დროზე, ან დაუდევრობის გამო ხელიდან გააგდე და დაუზიანე რაიმე ნაწილი,—იარაღი არაფრად არ გამოდგება.

ასეულში მისვლისას წითელი არმიელი ღებულობს კარგად შენახულ შაშხანას, რომელიც მის ხელში იქნება სამსახურის განმავლობაში.

ამ შაშხანით ის სწავლობს სამხედრო საქმეს, სროლას, დადის ყარაულში. შაშხანა და მეომარი—ეს ერთი მთელია, ურთმანეთოდ არსებობა არ შეუძლიათ. მართლაც განა შეიძლება მეომრის წარმოდგენა უიარაღოდ? ის ხომ მუშტით ვერ იომებს? მაშასადამე, შაშხანა საჭიროა მსროლელისათვის ისე, როგორც მუშისათვის დაზგა და გლეხისათვის გუთანი. თავისთავად ცხადია, რომ შაშხანა ყოველთვის წესრიგზე შენახული უნდა იყოს. მაგრამ არ კმარა, რომ ის მხოლოდ სწმინდო. უნდა შეინახო ის ისე, რომ მუდამ სავარგისი იყოს საბრძოლო მუშაობისათვის.

მასში მდგომარეობს მეომრის უმთავრესი მოვალეობა. ჩვენი წესდება ლაპარაკობს შაშხანის მოვლაზე, ავალებს თვითეულ მეომარს ახსოვდეს შემდეგი: პირველ ყოვლისა იცოდეს თავისი შაშხანის ნომერი, ყოველდღიურად დახედოს მას, მოსწმინდოს მტვერი, ხოლო მეცადინეობიდან დაბრუნებისას, თუ საჭირო იქნება, გასწმინდოს და დაზეთოს ის. უნდა იცოდეს თავისი შაშხანის მოხვედრის თავისებურება და ნაკლი, თუ რომ ასეთები ექნება შაშხანას. უნდა იცოდეს დაშლა, აწყობა და განსაკუთრებით წმენდა. ყოველდღიურად მეცადინეობაზე ან სამსახურში გასვლის წინ დახედოს მას, რომ დარწმუნდეს—ხომ არაა დაზიანებული.

სროლის ან წვიმისგან დასველების შემდეგ, აუცილებლად უნდა დაშალოს შაშხანა, გასწმინდოს და გაზეთოს. უნდა მიიღოს, როგორც წესი: მიუხედავად დაღლილობისა, მეცადინეობის შემდეგ არ დაისვენოს, სანამ შაშხანას არ მიხედავს როგორც წესი და რიგია.

მეომარმა თავიდანვე უნდა იცოდეს როგორ ინახება შაშხანები.

შაშხანის რაიმე ზიანის შესახებ დაუყონებლივ უნდა აცნობოს ათასეულის უფროსს. მასვე უნდა ჩააბაროს შაშხანა, თუ რომ წავა ასეულიდან ავადმყოფობის, მივლინების გამო და სხვა.

ამ რიგად, ყოველი მეომარი სამსახურის პირველ დღიდანვე უნდა სწავლობდეს თავის იარაღის მოვლასა და მოფრთხილებას. ტყვილა კი არაა ნათქვამი: „მანახე შენი შაშხანა და გეტყვი როგორი მსროლელი ხარ".

ვ.

## შეისწავლე 1905 წლის რევოლიუცია.

### რუსეთ-იაპონიის ომმა დააჩქარა რევოლიუცია.

რუსეთ-იაპონიის ომმა დააჩქარა 1905 წლის რევოლიუცია. მან თვალსაჩინოდ დაანახა გლეხებს მეფის თვითმპყრობელობის მტაცებლური ბუნება.

ომი დაიწყო განსაკუთრებით მსხვილი მდიდრების, მეფის მოხელეების, თავადებისა და მემამულეების სასარგებლოდ. მეფის მთავრობამ ძალადობის გზით წაალლიტა ჩინეთს მანჯურია და სურდა ხელში ჩაეგდო შორეულ აღმოსავლეთის მეორე ადგილი—კორეა, სადაც გენერალ ბეზობრაზოვმა, ადმირალ ალექსეევმა და ზოგიერთ თავადებმა გამართეს მომგებიანი ტყის საწარმონი.

აქ მეფის ყაჩაღების მტაცებლურ გეგმას წინაადუდგა იაპონიის ბურჟუაზიის მტაცებლური გეგმა. იაპონიის წინადადებაზე, რომ მეფის მტაცებლებს დაეტოვებიათ კორეა, მეფის მთავრობამ უარი განაცხადა, თუმცა კარგად იცოდა, რომ ეს უარი გამოიწვევდა ომს.

მეფის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ მუშებისა და გლეხების ასიათასიან „უფერული ჯოგით" (ასე უწოდებდა მეფის მთავრობა მუშებსა და გლეხებს) ის დაარბევდა შორეულ აღმოსავლეთს და გაანადგურებდა პატარა იაპონიას. გარდა ამისა თვით ომი მეტად ხელსაყრელი იყო კაპიტალისტების, თავადებისა და მემამულეებისთვის; მარტო არმიის სურსათ-სანოვაგისა და საჭირო მასალის მიწოდებაზე მათ შეეძლოთ დიდძალი ფულის შეძენა.

მეფის მთავრობას ომი სურდა იაპონიასთან და კიდეც მიაღწია ამ მიზანს. 1904 წლის ხუთ თებერვალს დაიწყო ომი იაპონიასთან.

მაგრამ თვითმპყრობელობა სასტიკად შესცდა თავის ანგარიშში, რომ ადვილად გაიმარჯვებდა. რუსეთის უზარმაზარი, ცუდად მომზადებული, მშიერი და ცუდად შეიარაღებული არმია, რომელსაც ხელმძღვანელობდენ უნიჭო გენერლები, ზედიზედ მარცხდებოდა. 1905 წლის დასაწყისში იაპონელებმა აიღეს პორტ-არტური,—ეს მეფის მძარცველთა მთავარი დასაყრდენი აღმოსავლეთში.

რომ გამოესწორებია თავისი საქმე, მეფის მთავრობამ თავი მოუყარა რაც კარგი და უვარგისი გემები ჰყავდა მთელ ბალტიისა და შავი ზღვის ფლოტში და გააგზავნა ის აზიაში იაპონიის ფლოტის წინააღმდეგ. ცუსიმის სრუტეში მეფის ფლოტი ნაწილობრ ჩაიძირა, ნაწილობრ ტყვედ ჩაუვარდა იაპონელებს.

ეს იყო ლახვარი, რომლის შემდეგ მეფის მთავრობას არ შეეძლო ომის გაგრძელება.

ამ დროს სახელმწიფოში დაიწყო რევოლიუციონური აჯანყებანი. რომ უფრო თავისუფლად გაეწორებოდა ხალხს, მეფემ ჩამოაგდო იაპონიასთან ზავი, სადაც უკანასკნელს დაუთმო მიწები და ზარალი აუნაზღაურა ფულით.

ომმა კიდევ უფრო გააღარიბა ისედაც ღარიბი გლეხთა მეურნეობა. მაგრამ ამ ომმავე აიძულა გლეხები აჯანყებულიყვენ.

სოციალ-დემოკრატების (ბოლშევიკების) პარტია თავიდანვე აფასებდა ომს, როგორც იმპერიალისტურსა და მტაცებლურს. ბოლშევიკები უშვებდენ ფურცლებს და მოუწოდებდენ მუშებსა და გლეხებს ომისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ბოლშევიკებს ლენინის მეთაურობით სურდათ მეფის თვითმპყრობელობის დამარცხება ომში, ვინაიდან ეს დამარცხება გაუადვილებდა მუშებსა და გლეხებს თვითმპყრობელობაზე გამარჯვებას.

რუსეთ-იაპონიის ომმა არამც თუ მხოლოდ გამოაშკარავა მეფის მთავრობის მტრული დამოკიდებულება ხალხის ინტერესებისადმი. ამ ომმავე გვანახა, რომ მეფის მთავრობა არც ისე ძლიერია, როგორც ეს ეგონათ.

ომისა და დამარცხების შედეგად მეფის მთავრობამ გააძლიერა ხალხში სიძულვილი და როგორც ლენინი ამბობდა,—„რევოლიუციისადმი საყოველთაო რწმენა". ხოლო „რევოლიუციისადმი საყოველთაო რწმენა—დასძინა მან—უკვე რევოლიუციის დასაწყისია".

და მართლაც რევოლიუციის დასაწყისი ეკუთვნის იმ დროს, როცა თვითმპყრობელობა სასტიკად დამარცხდა იაპონიასთან ომში.

ი. ფ.

## ახალწვეულო, შეისწავლე შაშხანა,-ის საუკეთესო მეგობარია ბრძოლაში.

რომ მეომარს კარგად შეეძლოს იარაღის (შაშხანის) ხმარება, ე. ი შეეძლოს მტრის შემუსვრა ტყვიითა და ხიშტით, თავდასხმისაგან თავის დაცვა,—მან კარგად უნდა შეისწავლოს შაშხანას ნაწილები, მექანიზმის მუშაობა და საბრძოლო თვისებანი.

შაშხანა შესდგება რამოდენიმე ნაწილისაგან, რომლებსაც თავთავისი, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. ერთბაშად მათი შესწავლა ახალგაზრდა წითელ არმიელისთვის ძნელია. ჯერ უნდა გაეცნოს მთავარ ნაწილებს, გაიგოს თუ რა მიზანს ემსახურებიან ისინი, ხოლო შემდეგ თანდათან გაეცნოს დანარჩენ მეორე ხარისხოვან ნაწილებსაც.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ყოველი წვრილმანი ნაწილი, ესა თუ ის ხრახნი და ზამბარა განსაკუთრებულ დანიშნულებისაა და ასრულებს ცალკე მუშაობას.

შაშხანის ნაგობასან ერთად გზადაგზა შესწავლილ უნდა იქნას სხვა და სხვა ნაწილების მუშაობა, მათი ურთიერთ მოქმედება. უნდა ვიცოდეთ თუ ნაწილების როგორი მუშაობა სწარმოებს, როცა ჩვენ საკეტს ვამუშავებთ, როცა ჩვენ ფეხს გაუშლით და სხვა.

ამრიგად, ვეცნობით რა შიგადაშიგ შაშხანის ნაგობას, მისი სხვა და სხვა ნაწილების დანიშნულებას, მათ ურთიერთ მოქმედებას,—ადვილად შევისწავლით შაშხანას ისე, რომ არას დროს არ დაგვავიწყდება. ხოლო როცა შაშხანა კარგად შესწავლილია, მაშინ მისი ხმარების სწავლა ადვილი იქნება (მარჯვე სროლა და ხიშტით კვეთება). უნდა გვახსოვდეს, რომ შაშხანა საშიში იარაღია მტრისთვის, მხოლოდ მაშინ, როცა ის გამოცდილ მებრძოლის ხელშია. სროლის კარგად შესწავლა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გეცოდინება შაშხანის ნაგობა და მისი ნაწილების ურთიერთ მოქმედება.

მაშასადამე, ახალგაზრდა მეომრის მთელი ყურადღება, მისი მისწრაფება მიმართულ უნდა იქნას პირველყოვლისა თავისი შაშხანის კარგად შესწავლისაკენ.

ვ.

# ახალწვეული წითელ ყაზარმაში

## მოვიდნენ ახალწვეულები.

1-ლი საკავშირო ასეული.

6 ნოემბერს ასეულს ესტუმრენ ახალწვეულები.

ამხანაგების მოსვლამ დიდი სიხარული გამოიწვია ასეულის მთელი შემადგენლობის შორის. გავაჩაღეთ საუბრები, უხსნით სხვა და სხვა საყურადღებო საკითხებს, რომელსაც ისინი სიამოვნებით ისმენენ. უმთავრესად აინტერესებთ ამხანაგებს სამხედრო სამსახური და მისი პირობები. ძველი არმიელები მუყაითად ჩაუჯდენ ამხანაგებს და ყველა მათთვის საინტერესო ცნობების შესახებ დაწვრილებით ებაასებიან. უკვე გააცვნეს მათ ჩვენი ცხოვრება, მეთაურებსა და წითელ არმიელებს შორის არსებული დამოკიდებულება, როგორ ცოდნას იძლევა წითელი ყაზარმა და მრავალი სხვა. საერთო შთაბეჭდილება ამხანაგებში ძლიერ კარგია.

სამხკორი ვ. ვანელი.

# ახალწვეულები 1-ლ არტლეგიონში

„განთავისუფლება არც ერთს არ გვინდოდა, წითელ ყაზარმაში ბევრ რამეს სწავლობენ და ჩვენც გვინდა სწავლა, რომ გავხდეთ მშრომელთა საუკეთესო დამცველები".

დიდხანს არ ყოფილა ჩვენი ყაზარმები დაცარიელებული ძველი არმიელების გრძელ ვადიან შვებულებაში წასვლის შემდეგ. 7, 8 და 9 ნოემბრის განმავლობაში ლეგიონი შეივსო ახალწვეულებით. კვლავ გამხიარულდა ყაზარმა და დაიწყო ჩვეულებრივი მუშაობა.

მოსვლისთანავე ამხანაგები მოთავსებულ იქნენ კარანტინში. მეორე დღეს დაჰკრიჭეს, გაგზავნეს აბანოში, დაურიგეს ახალი ტანსაცმელი. ამხანაგები სრულიად გამოიცვალნენ, მიიღეს მხედრული გამომეტყველება.

ყველა მხიარულად არიან, სიმღერები, ცეკვა-თამაში განუწყვეტლადაა.

ამ ჟამად ხუთი კარანტინში არიან ამხანაგები და გამუდმებით სწარმოებს მათთან საუბრები. პირველად ჩატარებული იქნა საუბარი შემდეგ თემაზე: „დეზერტირი მშრომელი ხალხის მოღალატეა" წაკითხული იქნა აგრეთვე რევტრიბუნალის განაჩენები-დეზერტირ და სამხედრო ქონების გამფლანგველ ძველ წითელ-არმიელებზე.

ამან მეტად სასურველი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგებზე.

ჩვენს შეკითხვაზე თუ ვინ გრძნობს თავს უკანონოდ გამოწვეულად, ყველა ერთხმად გვიპასუხებდნენ: „განთავისუფლება არც ერთს არ გვინდოდა, რადგან გავიგეთ, რომ წითელ არმიაში ბევრ რამეს სწავლობენ და ჩვენც სწავლა გვინდა რომ მშრომელთა საუკეთესო დამცველები გავხდეთო"

ლეგიონი დიდხანია ემზადებოდა ახალწვეულების შესახვედრად. გადამზადებული იქნენ ლეგ. უნცროსი მეთაურები ინსტრუქტორებად სამხედრო და პოლიტიკურ დარგში სამუშაოდ.

ჩამოყალიბებული იქნა ჯგუფის ხელმძღვანელები, სადაც სწარმოებდა საინსტრუქტორო და მეთოდიური თათბირები.

ყველა ბატარეების ერთგვარ ჯგუფებიდან შესდგა მეთოდიური კომისიები. ჩამოყალიბებული იქმნა მეთოდიური ცენტრი.

ყველა ჯგუფისათვის დამუშავებულია გეგმა, შესწავლილია მოცემული პროგრამა.

ახალწვეულების მოსვლის წინ გამოყოფილი იქმნა კომისიები: კარანტინის უფროსი, მიმღები, და კარანტინში პოლიტმეცადინეობის მწარმოებელი კომისიები. ახალწვეულების მიღება წარჩინებულად სწარმოებს.

ჭაია.

# ხელი შევუწყოთ საერთო საქმეს.

ცხენოსანი ლეგიონი.

ცხენოსან ლეგიონს ესტუმრენ ახალწვეულები, რომლებსაც დიდი ხალისით შეხვდენ ყაზარმაში დარჩენილი ძველი წითელ არმიელები, რომლებიც ესაუბრებოდენ მათ ყველა საინტერესო საკითხებზე, გულმოდგინეთ აცნობდენ ყაზარმულ ცხოვრებას, წითელ ჯარს, მის დანიშნულებას და მნიშვნელობას. ახალწვეულები სჩანს რომ ძლიერ დაინტერესებული არიან ყველა ამით, წითელი ყაზარმიდან ისინი ბევრ რამეს გამოელიან და არც სცდებიან. წითელი ყაზარმა მათ ხელგაშლილი უხდება. ჯერი მათ ხელმძღვანელებზე არის, რომლებიც დარწმუნებული ვართ უფრო მეტი ენერგიით შეუდგებიან მათი განვითარებას, მომზადების საქმეს კიდევ უფრო მომზადებულ დაუბრუნებენ მათ ჩვენს სოფლებს.

გაუმარჯოს ჩვენს ახალწვეულების მომავალ საქმიანობას და მათი ხელმძღვანელების დაუღალავ შრომას.

წ. არმ. ზაუტაშვილი.

## არა გვაქვს სასადილო ჭურჭლეულობა.

ცხენოსანი ლეგიონი.

ლეგიონის სასადილოში არა გვაქვს სასადილო საჭირო ჭურჭლეულობა. ყოველი სადილობის დროს დიდი არევ-დარევა და უწესრიგობას აქვს ადგილი. არა გვაქვს კოვზები, მათლაფები და სხვა. დროა სამნეო ნაწილის უფროსმა შესაფერი ზომები მიიღოს ამ ნაკლულევანების გამოსასწორებლად.

სამხკორი ცეცხლი.

# წითელი ჯარი და სოფელი

## კავშირი შვებულ არმიელებთან.

1-ლი არტლეგიონი.

შვებულებაში მიმავალ არმიელებთან წინასწარ მოვამზადეთ ნიადაგი, რომ მათი სოფელში დაბრუნების შემდეგ ჩვენსა და მათ შორის კავშირი არ გაწყვეტილიყო, პირიქით უფრო გაცხოველებულიყო კიდეც.

ლეგიონში თავმოყრილი იყვენ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეებიდან. ამნაირად ლეგიონი ყველა იმ საქმეების კურსში იქნება თუ რა კეთდება ამ კუთხეებში და როგორ მონაწილეობას ღებულობენ სოფლის სამეურნეო და კულტურულ გაჯანსაღებისათვის წარმოებულ მუშაობაში ჩვენი არმიელები. ამხანაგები შეგვპირდენ დაწვრილებით აცნობონ ამ მუშაობის შესახებ სისტემატიურად გაზ. „წითელ არმიელსა".

დარწმუნებული ვართ ამ ამხანაგების მაგალითს სხვებიც მიყვება და მით გაკეთდება ის უდიდესი საქმე, რომელიც ევალება შვებულებაში წასულ არმიელებს.

სამხკორი ან—ცი.

# ჩვენი კავშირი ცვალებადელებთან.

მე 4 ტერ. ლეგ. მე-2 ათასეული.

მეოთხე ტერ. ლეგიონის მე-2 ათასეულს მჭიდრო კავშირი აქვს ცვალებად წითელ არმიელებთან, როგორც ცოცხალი ისე წერილობითი.

ხშირად დავიარებით რაიონის წერტებზე, სადაც ვეცნობით ცვალებადელების ყოფა-ცხოვრებას, ვაძლევთ მათ სოფლად მუშაობის შესახებ დარიგებებს, ვუკეთებთ მოხსენებებს და სხვა.

თავის მხრივ ისინიც ხშირად მოდიან ათასეულში, ეცნობიან ჩვენს მუშაობას და აგრეთვე გვაგებიებენ თავიანთ ჭირ-ვარამს.

ასეთი მჭიდრო კავშირი ჩვენ გვიადვილებს მუშაობას როგორც სოფლებში, ისე რაიონის წერტებზედაც.

ამას გარდა განზრახული გვაქვს მოვაწყოთ ყოველ რაიონის წერტეზე სამხედრო სამეცნიერო კუთხეები, რაშიდაც იმედი გვაქვს მატერიალურად დაგვეხმარება ადგილობრივი ორგანიზაციები.

ლ. ჭელიძე.

# მესამე ლეგიონის საქმიანობიდან.

**სამხედრო მომზადება.**

ლეგიონში სამხედრო მომზადების საქმეს თავიდანვე სერიოზული ყურადღება ექცეოდა და დღესაც თავის სიმაღლეზე სდგას. ეს თვალსაჩინოთ დამტკიცდა მანევრების დროს. სროლის საქმეში ლეგიონმა არმიის მაშტაბით მე 2 ადგილი დაიკავა.

**პოლიტ მომზადება.**

პოლიტიკური აღმზრდელობითი საკითხს ისე, როგორც სამხედროს, დიდი ყურადღება ექცევა. პარტ წევრების კანდიდატების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ყურადღება აქვს მიქცეული განტვირთვის საკითხს, დავალებების პარტ ამხანაგებზე და სხვა. პარტ დისციპლინა მტკიცედაა დაცული. ოდნავი უდისციპლინობამ თუ კი იჩინა თავი, ძირშივე ისპობა მიღებული ზომებით. ამხანაგების პოლიტ მომზადებას დათმობილი აქვს განსაზღვრული საათები. მეცადინეობა სისტემატიურად სწარმოებს.

**პოლიტ საათი.**

პოლიტ საათები ყველა ასეულებში ტარდება კომპლექსიური მეთოდით. ეწყობა პოლიტხელთა თათბირი, სადაც მუშავდება ყველა ის საგნები და თემები, რაც უნდა ჩაატარონ. ეწყობა აგრეთვე სანიმუშო გაკვეთილები, ამ მიზნით ირჩევენ სათანადოთ მომზადებულ ამხანაგებს.

**სკოლის გარეშე მუშაობა.**

სკოლის გარეშე მუშაობის საკითხს ლეგიონში მართლაც სერიოზული ყურადღება ექცევა. ჩვენი ლეგიონი მისაბაძი მაგალითია ამ მხრივ. ამას მოწმობს ამხ. ვასილიევის წერილი მე-3 ლეგიონზე.

ამ მუშაობის მომავლისათვის კიდევ უფრო გასაძლიერებლად ლეგიონმა ყოველგვარი ზომები მიიღო. ამას შევსძლებთ, რადგან შესაფერად ვართ მოწყობილი.

**ლენკუთხეები.**

ლეგიონის მეთაურთა შემადგენლობა დიდი ინტერესით ეკიდება ლენკუთხეების მოწყობას. მართალია, ლეგიონი მეტად ღარიბია, რაც საგრძნობლად დაჩნდა პირველად ლენ კუთხეებისათვის საჭირო მასალების მიწოდების საკითხს, მაგრამ უფპოლიტ შემადგენლობამ თავისი თაოსნობით და შესაფერი წვლილის გაღებით ოქტომბრისათვის მშვენივრად მოაწყო ლეგ. ლენკუთხეები.

ამ ჟამად ჩვენს ლეგიონში არსებობს თუთხმეტი ლამაზად მორთული ლენ კუთხეები. კუთხეები 50% მეთაურთა შემადგენლობის მოწყობილია, რაც მისაბაძ მაგალითად უნდა ჩაითვალოს.

ლეგიონის უფპოლიტ შემადგენლობა მადლობის ღირსია ასეთი კულტურული საქმის მოგვარებისათვის.

მეცადინეობა სასურველად მიმდინარეობს. არის სხვა და სხვა წრეები, კითხვა-პასუხის რვეულები, ხმამაღლა გაზეთის კითხვა. აღრიცხულია ყველა აქტიური წითელ-არმიელები, ასე რომ მომავლისათვის მუშაობა უფრო ფართე ხასიათს მიიღებს.

სამხკორი ა. ჭკადუა.

# პირველი საკავშირო ასეულის ცხოვრებიდან.

სულ რამოდენიმე დღეა რაც 1-ლ საკ. ასეული შეუდგა ახალ ბინაზე მოწყობას. ჩამოსვლისთანავე მთელი შემადგენლობა ჩაება ბინის მოწყობაში. დიდი მუშაობის შემდეგ ახალ ბინაზე ასეული უკვე გაიმართა და ჩაება სხვა და სხვა კულტ-განმანათლებელ საქმიანობაში. დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ბიბლიოთეკის მუშაობას რამაც უკვე გამოიღო შესაფერი ნაყოფი. ლიტერატურა ყოველთვის საკმაოდ მოიპოება ბიბლიოთეკაში. ყველა ამ მუშაობასთან უკვე უახლოვდებოდით ოქტომბრის დიად დღესასწაულს. ნაწილმა ამ მიზნით გამოჰყო რამოდენიმე კაცი და გადაგზავნა დივიზიაში, რათა მონაწილეობა მიეღოთ დივიზიის მასშტაბით გამართულ წარმოდგენებში. ამასთანავე ერთად ასეულს დიდი მუშაობა აქვს კედლის გაზეთის გამოშვებაზე. ოქტომბრის რევოლიუციის აღსანიშნავად გამოცემული იქნა შესაფერი ნომერი. ჩვენს მუშაობას და ხალისს თან დაერთო ისიც, რომ წითელ ყაზარმას ყოველ-დღე განუწყვეტლად ემატება მხიარული ახალწვეულები, ეტყობათ, რომ ისინი დიდათ დაინტერესებული არიან სამხედრო საქმით. ისინი დიდის აღტაცებით მოელიან კედლის გაზეთის მორიგი ნომრის გამოშვებას. მუშაობა შეუჩერებლივ სწარმოებს, უფ-შემადგენლობასთან ხელიხელ ჩაკიდებული.

სამხკორი ვ. ჯ—ძე.

# წარმოდგენა რემედასის სასარგებლოდ.

ქართ. მეთაურთა სკოლა.

სკოლაში ნორმალურად მიმდინარეობს მეცადინეობა. მეცადინეობა ლაბორატორიული წესით სწარმოებს, რაც კურსანტებს აჩვევს თვითმოქმედებისა და ყველა საკითხების დამოუკიდებლად გარჩევას. სკოლაში მრავალი წრეებია დაარსებული. თითეულ მათგანში მეცადინეობა ტარდება ერთჯერ კვირაში. ენერგიულად მუშაობენ თვითმომქმედი ორგანიზაციები: ავიოქიმი, რემედასი და სხვა. თითქმის ყველა კურსანტები ითვლებიან ამ ორგანიზაციების წევრებად, და ხელს უწყობენ მათ მუშაობას, განსაკუთრებით რემედასისას, რადგან ყველას კარგად ესმის მისი მნიშვნელობა.

სწორედ ამ მიზნით 7 ნოემბერს სკოლის საარტილერიო განყოფილების კურსანტებმა გამართეს წარმოდგენა რემედასის სასარგებლოდ.

პიესაში თვალნათლივ გაეცნენ ამხანაგები, თუ როგორ საშინლად აწამებენ ბურჟუაზიულ ქვეყნებში რევოლიუციონერ, თავისუფლებისათვის მებრძოლ მუშებს.

შემდეგ შესრულებული იქნა მგრული სიმღერები, წაიკითხეს რევოლიუციონური ლექსები და სხვა. საღამოზე უკრავდა სკოლის ორკესტრი.

სამხკორი კვირკელია.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი.

## მოგვეცით საათი.

2-რე ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის საყარაულო შენობაში არ არის საათი, რაც ხელს უშლის გუშაგების თავის დროზე გამოსვლას. არმიელებში ხშირად დიდ უკმაყოფილებას აქვს ამ ნიადაგზე ადგილი. საჭიროა ყურადღება ვისგანაც ჯერ არს, რომ ბოლო მოეღოს არსებულ დაბრკოლებებს.

ს.—თი.

## საცვლებს არ გვირეცხენ.

**სამხედრო პოლიტსკოლა.**

სამხედრო პოლიტსკოლაში დაქირავებული არიან ორი მრეცხავი ქალი, რომლებიც უნდა ამზადებდენ კურსანტების საცვლებს. მიუხედავად ამისა ამხ. მრეცხავები ნაკლები ყურადღებით ეპყრობიან კურსანტებს. მათ საცვლებს ყოველთვის გვერდზე დებენ და ვიღაც კერძო პირების საცვლებს ამზადებენ სკოლის ხარჯზე. კურსანტების საცვლები არ ირეცხება თავის დროზე, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

სამნეო ნაწილის უფროსო მოაგვარე ეს საქმე.

სამხკორი ვულკანი.

# სამხკორთა შენიშვნებიდან.

## მაინც არ გამოსწორდენ.

სამხ. მეთაურთა სკოლა.

გაზ. „წითელ-არმიელში" ამას წინადაც იყო მოთავსებული შენიშვნა, რომ სკოლის ელსმენზე მორიგე კურსანტები არ ატყობინებენ კურსანტებს, როგორ საქმეზედაც არ უნდა უძახოდეს მათ ვინმე. მიუხედავად შენიშვნისა მორიგეები ეხლაც ასე იქცევიან და თუ ვინმე გამოიძახებს კურსანტებს უპასუხებენ, რომ სკოლაში არ იმყოფებაო. ეს დიდი ბოროტებაა მორიგეებისაგან ჩადენილი. დროა ამ უმზგავსო საქციელს ერთხელ და სამუდამოთ მოუღონ ბოლო. საჭიროა მეტი ყურადღება თავის მოვალეობისადმი.

სამხკორი ალ. ჭინჭეროული.

## დაიხსენით გუნდის არმიელები.

1-ლი ლეგიონის საკავშირო გუნდში მოხალისეთ მიიღეს ერთი 16 წლის ახალგაზრდა, რომელიც პირდაპირ მოუთმენელია წითელ-არმიელებისათვის. თუ რამე ასწავლეს ბრაზდება და გიჟსავით მუშტებით იმუქრება. ბრალიანსა და უბრალოს მუშტებით ემუქრება და იწვევს ეზოში კრივში. საზოგადოთ ეტყობა რომ არა ნორმალურია. ჯერ ერთი მოხალისეობა ისედაც აკრძალულია და მერე რა საჭიროც იყო ასეთის მიღება, რომელიც წითელ-არმიელებს ვერ ეგუება?

სამხედრო სიმართლის მთქმელი.

## რად არ აძლევენ საწევრო წიგნაკებს?

მესამე ლეგიონში ყველა წითელ-არმიელები ჩაეწერენ რემედასის წევრებად ამ ერთი წლის წინად. საწევრო გადასახადსაც სისტემატიურად იხდიან, მაგრამ მიუხედავად დაპირებისა, საწევრო წიგნაკები არ დაურიგებიათ. ნუ თუ შეუძლებელი შეიქნა ერთი წლის განმავლობაში რაღაც უმნიშვნელო წიგნაკების საქმე მოეგვარებიათ? ამის გაკეთება თავის თავად არაფერია, ხოლო წითელ არმიელებზე სხვა შთაბეჭდილებას მოახდენს. მოაგვარეთ ეს საქმე.

წ. არმ. ბორშოიძე.

## წითელ არმიელთა შემოქმედებანი.

1-ლი არტლეგიონის კედლის გაზეთი.

ოქტომბრის დღესასწაულის აღსანიშნავად ლეგიონში გამოვიდა ლეგიონის კედლის გაზეთი, რომელიც თავისი შინაარსითა და გარეგნული ტეხნიკური მხარით დამაკმაყოფილებელია. წერილები მოკლე, მკაფიო, გარკვევით აღნიშნავენ საკითხებს და სხვა.

გაზეთში მონაწილეთა უმრავლესობა წითელ არმიელებია, რომლებიც ყოველთვის მთავარი ძალა იყო ჩვენი კედლის გაზეთისათვის.

დღესასწაულზე მიძღვნილი იქნა აგრეთვე ასეულების კედლის გაზეთები, რომლებიც არა ნაკლები საინტერესონი არიან. ყველა სასეულო გაზეთების თანამშრომლები თითქმის მხოლოდ და მხოლოდ წითელ არმიელებია, რომლებიც უახლოეს მონაწილეობას ღებულობენ გაზეთის სარედაქციო მუშაობაშიც კი.

წითელ არმიელების ასეთი დაინტერესება უმთავრესად მიეწერება ჩვენს ახალ მეთაურებს, რომლებიც ყოველთვის გვერდში უდგანან არმიელებს და ასწავლიან რაც კი შეუძლიათ.

სამხედრო ა. არველაძე.

## უცხოეთის არმიებში

### რუმინეთი.

**კონტრ ადმირალებს გული მოსდით.**

რუმინეთის სამხედრო სამინისტრომ გადასწყვიტა, ყველა საზღვაო ფლოტის კონტრ-ადმირალებს რომლებსაც კი მიეცემათ ვიცე ადმირალების ხარისხი, დაენიშნოთ სახელმწიფო გამოცდა. სამხედრო სამინისტროს ასეთმა გადაწყვეტილებამ, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ვიცე ადმირალის კანდიდატებში, რომელიც გამოიხატა სისტიკ პროტესტში საგამოცდო კომისიის დანიშვნის გამო. კომისიაში შედიან ქვეითი ჯარის გენერლები. კონტრ ადმირალების პროტესტს მხარს უჭერს საზღვაო ფლოტის სხვა ოფიცრებიც.

## ამბები სოფლებიდან.

— **აეროდრომი საჩხერეში** შორაპნის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საჰაერო ფლოტის საზოგადოების წინაშე საჩხერეში აეროდრომის მოწყობის შესახებ.

— **სენაკის აღმასკომმა** დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ფ.-ტ. კომისარიატის წინაშე მაზრაში სატელეფონო ხაზის გაფართოების შესახებ.

— **სკოლა მარტვილში.** სენაკის სამაზრო განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა შეუდგეს სკოლის შენობის შეკეთებას სოფ. მარტვილში.

— **საბავშო ბაღ-მოედნები** თელავის აღმასკომის მეთაურობით 1-ლ ივლისიდან სოფ. იყალთოსა და ყვარელში გაიხსნა საბავშო ბაღ-მოედნები.

— **სასოფლო გზების აღსადგენათ.** გორის აღმასკომმა გადასწყვიტა მოახდინოს ყველა სასოფლო გზების ტეხნიკური დათვალიერება-შემოწმება.

## ახალი ამბები.

— **სახლების აღმშენებლობისათვის.** საზოგადოება „სამშენმა“ ქალაქის ბანკს დაუკვეთა 20 ათასი ფუთი სახურავი რკინეული.

— **ქალაქის კეთილ მოწყობის** განყოფილებამ გადასწყვიტა გაასწოროს და გააფართოოს მალაკნების ქუჩა.

— **შემნახველი სალაროები.** ფ.-ტელ. კომისარიატის დაწესებულებებთან ამჟამად არსებობს 266 შემნახველი სალარო.

— **ძვირფასი ბეწვეულობა.** ამ.-კავკ. შინა ვაჭრ. კომისარიატის ცნობით წარსულ საანგარიშო წლის განმავლობაში ა. კავკასიაში შეგროვდა 438.915 მანეთის ძვირფასი ბეწვეულობა და ჯაგარი.

— **კვერცხების გატანა.** საქართველოში წელს გასატანათ გამზადებული იქნება 4 მილიონი ცალი კვერცხი.

— **ნამცხვარი პური.** ყოველ დღიურათ ტფილისში საღდება 7 ათასი ფუთი ნამცხვარი პური.

— **საგლეხო მანუფაქტურა.** ამ.-კავკ. კოოპ- კავშირის სახელზე ლივერპულიდან (ინგლისი) გამოგზავნილია 2 მილიონი თოფი საგლეხო მანუფაქტურა.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**„ვესტერნ-ელექტრიკი“**

ამ უკანასკნელ ხანებში ლენინგრადის აკადემიურ საოპერო და ბალეტის თეატრებში დადგეს ძლიერი ძალის ბგერების გამაძლიერებელი სადგური „ვესტერნ-ელექტრიკი“. ეს სადგური აძლიერებს ადამიანის ხმას რამოდენიმე ათასჯერ. აპარატის საშუალებით შესაძლებელი ხდება ორატორის სიტყვა, მოხსენებები, კონცერტები და სხვათა მოსმენილი იქნეს ხმამაღლა მოლაპარაკის საშუალებათ რამოდენიმე ვერსის მანძილზე. თვითონ აპარატი შესდგება ბგერების გამაძლიერებელ ძლიერი ელსმენებისა და მიკროფონებისაგან. ამ აპარატის დადგმის შემდეგ ლენინგრადის ყოფილ მარინეს თეატრში გამართული კონცერტები და ოპერები ადვილად გადაიცემა ლენინგრადის საყოველთაო რადიო გადამცემ სადგურზე. ამ სადგურის საშვალებით კი ისინი მოსმენილი იქნებიან მთელ ახლო მახლო მიდამოებში.

**მარხილისებური ველოსიპედი.**

ამხ. არკადიევმა გამოიგონა მარხილისებური ველოსიპედი, რომლის წინა ბორბალი შეცვლილია მარხილით, ხოლო უკანა ბორბალი კი ჩვეულებრივია. მარხილი თან ერთვის საჭეს, რომლის საშვალებით შეიძლება შეუცვალო ველოსიპედს მოძრაობის მიმართულება. ველოსიპედის უკანა ბორბლის ორივე მხრით მიმაგრებულია უძრავად მარხილები. უკანა ბორბალი ისეა მოწყობილი, რომ იმის და მიხედვით თუ რა სიმაღლის თოვლში უხდება ველოსიპედს მოძრაობა აიწევა და დაიწევა ძირს. ეს გამოგონება საშვალებას იძლევა ადვილად და სწრაფად თოვლზე ველოსიპედით მოგზაურობის საქმეში.

## პასუხი შეკითხვებზე.

**პასუხი მეთაურ ლ—ს.** ოცეულის თავს არ შეუძლია უმაღლეს მსროლელთა კურსებზე შესვლა. ბრძანება რევსამხსაბჭოს № 456 25 წ.

**უმცროს მეთაურს.** თუ ზედმეტ მსახურათ ხართ დარჩენილი უმცროს მეთაურათ ჯამაგირი გერგებათ ნოემბრიდან, ეს 1-ლ თუ 2-რე დივიზიაში იქნებით სულ ერთია.

**წ. არმიელებს.** წერტებზე მყოფ წ. არმიელების სისუფთავეზე უნდა იზრუნოს ნაწილმა.

**მეთვალყურეს.** წერტებზე მყოფ უმფროს მეთაურებს არ შეუძლიათ ისარგებლონ ასეულში შენობით და სხვა სახელმწიფო ქონებით.

**ვ. თ—ძეს.** პოლიტსკოლის უფროსს მეკუჭნავეს 3 მან. 50 კ. მეტი არ ერგება ჯამაგირი, როგორც წ. არმიელს.

**მ—ს.** ნებით დაქირავებულ წ. არმიელებს ტანისამოსი ერგებათ.

**წ. ა. ქიტესაშვილს.** მივლინების დროს საულუფე გერგებათ 35 კ. დღეში.

**ამხ. კანდრევიჩს.** ავადმყოფობის გამო შვებულებაში ყოფნის დროს შეგიძლიათ, რასაკვირველია, ისწავლოთ.

**წ. ა. ჯანაშვილს.** თქვენს შეკითხვაზე შეგვიძლია გიპასუხოთ მაშინ, როცა გვაცნობებთ, თუ რამდენ ხანს იყავით დეზერტირათ, გაგასამართლეს თუ არა და რა მიგისაჯეს.

**ამხ. მ—ლს.** ფორმის ტარება შეგიძლიათ უვადო შვებულებაში, სანამ არ დაიხევა ნაწილიდან გატანებული ტანისამოსი.

**ამხ. ჭანტურიძეს.** შვებულებაში ყოფნის დროს რომ თქვენ ავად იყავით ამის შესახებ მოწმობა უნდა მიიღოთ აღმასკომის ექიმიდან.

**ამხ. ბაიაძეს.** შვებულებისთვის უნდა მიმართოთ თქვენს უფროს, რომელსაც უნდა წარუდგინოთ სათანადო მოწმობა ოჯახური მდგომარეობის შესახებ.

**ამხ. ალი—ს.** უვადო შვებულებაში მიმავალს და უმცროს მეთაურად ზედმეტ მსახურათ დარჩენილს ნაწილიდან მიცემული ტანისამოსი რჩებათ საკუთრად.

**ამხ. ხვე—ძეს.** უვადო შვებულებაში წასვლისას სალიკვიდაციო ფული არ გეკუთვნით, რადგან თქვენ როგორც წ. ა. ისე მსახურებდით უმცროს მეთაურად.

**ამხ. ვ—ძეს.** გადასვლა ერთი ნაწილიდან მეორეში აკრძალულია. (ბრძანება № 821—24 წ.)

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ამხ. ძ. ბიჭს** (2-ე ლეგ.) **სამხედრ თ. რ.** (5-ე ლეგ.) **თ. ი-ს** (2-ე ლეგ.) **ჭ—იას** (მეთაურთა სკოლა) თქვენი წერილები; „ფელეტონისებური“, „გაუმარჯოს ახალწვეულებს“ „მოგვეცით კანონიერი შვებულება“ და „ნაკლის გამოსწორება“ არ გამოგვადგა. მოიწერეთ სხვაზე.

**ამხ. ამხ. ა. გიოშვილს** (6-ე ლეგ.) და **შუტუს** (3-ე ლეგ.) თქვენი ლექსები: „მერვე ოქტომბერი“ და „წითელ არმიას“ არ გამოდგა. მოიწერეთ წერილები ნაწილის ცხოვრებაზე.

**ამხ. ციცოს.** (1-ლი ლეგ.) არც თქვენი ლექსი: „ახალწვეულთა სიმღერა“ გამოდგა. მოიწერეთ სხვაზე.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ საარტილერიო ლეგიონის 1-ლ და 2-რე ბატარეის შეერთებულ კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ უპარტიო ამხანაგებს: 1) ნიჟარაძე კალისტრატე ნესტორის—ძეს, მასწავლებელი, საშვალო ცოდნით (ქუთაისის მაზ. სოფ. მაღლაკი.) 2) დარჩია ხარიტონ პეტრეს—ძეს ოზურგეთის მაზ. სოფ. ბახვი და 3) მაღლაკელიძე სიმონ გიორგის—ძეს (შორაპნის გაზ. სოფ. ძირული). თუ ვინმეს რაიმე გაქვთ საწინააღმდეგო მათ მიღების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ 10-დღეში, შემდეგი მისამართით.

1-ლ საარტილერიო ლეგიონის 1-და 2-რე ბატარეის შეერთებული კომ. ჯრედი.

## განცხადება.

ქალაქ ტფილისის მიდამოებში ყოველ წლიურად ხდება უბედური შემთხვევები, რაც გამოწვეულია იმით, რომ როგორც მოზრდილები, ისე განსაკუთრებით ბავშვები ვერ ექცევიან ფრთხილად მინდორში ნაპოვნ ჭურვებს, მინებსა და სხვა ამაფეთქებელ ნივთიერებით, განსაკუთრებით როცა სცდილობენ ამ ცეცხლის მასალების დაცლასა და ნაწილებად დაშლას.

მიუხედავად იმისა, რომ ქ. ტფილისის კომენდანტმა უკვე გამოაცხადა ადგილობრივ გაზეთებში იმ საფრთხის შესახებ, რომელიც მოელის მოქალაქეებს ნაპოვნ ჭურვების დაცლის ცდების დროს,—უბედური შემთხვევები მაინც გრძელდება. მაგ. 19 ოქტომბერს მასრიდან ტყვიის გამოღების ცდების დროს, რომელიც ნაპოვნ იქნა მარილიან ტბის ახლოს, აფეთქდა ფისტონი, რომელმაც მოჰკლა 9 წლის ბავშვი თედორე მაისიუკი და მძიმედ დასჭრა ორი. იმავე დღეს ლოტკინის მთის რაიონში მწყემსებს ეპოვნათ ჭურვი და დაედოთ ცეცხლზე საცდელად; ფისტონის აფეთქებით აქ მოკლულ იქნა ერთი მწყემსი და მძიმედ დაიჭრა ორი სხვა. იმავე დღე' ვე პეტრეპავლეს სასაფლაოს ახლოს ხელით სატყორცნმა ბომბმა ფისტონის აფეთქებით ოთხი თითი წასწყვიტა 16 წლის იაკობ იარალოვს („ზარია ვოსტოკა“ 1925 წ. 20 ოქტომბრიდან).

ზემოაღნიშნულ უბედურ შემთხვევათა თავიდან ასაშორებლად ყველა მოქალაქეებს ეკრძალებათ მარილიან ტბის რაიონებში ვერგეტილოს მთაზე ცეცხლმტყორცნი მასალების დაცლის ადგილზე ლითონის შესაკრებად მისვლა.

თუ რომ ვინმე იპოვნის არტილერიის ჭურვს, ფისტონს ან სხვა ამაფეთქებელ ნივთიერებას, ასეთებს ხელი არ უნდა ახლოს და მით უფრო არ უნდა წაიღოს, არამედ დაუყონებლივ განაცხადოს უახლოეს კომისარიატში ან ჯარის ნაწილში ზომების მისაღებად.

მოქალაქე, რომელიც შემჩნეულ იქნება ზემოაღნიშნულ მოთხოვნილებათა დარღვევაში, მიცემულ იქნება კანონის ძალით პასუხისგებაში.

ქალაქის კომენდატი აბაშიძე.

## ტფილისის გარნიზონის ყველა ქართულ ნაწილების კლუბის უფროსების საყურადღებოთ.

ა. წ. 18 ნოემბერს დილის 10 საათისთვის წითელი არმიის და ფლოტის ბაღში (პლეხანოვის პროსპექტი № 73) დანიშნულია ტფილისის გარნიზონის ყველა ქართულ ნაწილების კლუბის უფროსების თათბირი.

დღის წესრიგშია შემდეგი კითხვებია: 1. წ. ა. ფ. ს. ქართული სექციის საქმიანობა საზაფხულო პერიოდში, 2. სამუშაო პერსპექტივები და 3. მიმდინარე კითხვები.

დასწრება სავალდებულოა.

2 დივპოლიტგანის აგიტპროპის უფროსი ადამაძე.

წ. ა. ფ. ს. ქართულ სექციის გამგე დ. ჭანტურიშვილი.

**დავკარგე** კომკავშირის საწევრო ბარათი № 127 1923 წ. სამტრედიის რაიკომის მიერ ალექსანდრე ელიზბარის ძე გაგუას სახელზე გაცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. ღ. ს. ც.
სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.
პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.